დანართი 17

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

თბილისი 2024

1. კოლეჯის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება

1.1. კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს და თანამშრომლებს ბიბლიოთეკის მკითხველად გაწევრიანების შემდეგ;

1.2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველს ბიბლიოთეკის მკითხველად არეგისტრირებს ბიბლიოთეკარი და ავსებს მკითხველის ელექტრონულ ბარათს;

1.3. მკითხველის ბარათის ინფორმაციაა: გაწევრიანების მსურველი პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტა, საგანმანათლებლო პროგრამა;

1.4. მკითხველი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას სახელის, გვარის და საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შესახებ.

2. მკითხველის უფლებები:

2.1. მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო საათებში ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსებით (მათ შორის - ელექტრონული) და სამკითხველო დარბაზით;

2.2. მკითხველს უფლება აქვს მისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსი დაჯავშნოს როგორც პირადად, ისე - ელ.ფოსტის საშუალებით, რის შემდეგაც ბიბლიოთეკარისგან იღებს ინფორმაციას მისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობის, შინ გატანის უფლებით სარგებლობის და ვადების შესახებ; აგრეთვე - ალტერნატიული საბიბლიოთეკო რესურსის შესახებ, არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

2.3. მკითხველს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ლიმიტი სარგებლობაზე არსებობს მხოლოდ სხვა მომხმარებლებისაგან მოთხოვნის შემთხვევაში და შეადგენს 60 წუთს.

2.4. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სასწავლო მასალის ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის სერვისით და აღნიშნული სერვისი მიიღოს ბიბლიოთეკარისგან;

3. ბეჭდური რესურსის გატანის წესი

3.1. ბიბლიოთეკიდან ბეჭდური რესურსის გატანის უფლებით სარგებლობენ მკითხველები;

3.2. ბეჭდური საბიბლიოთეკო რესურსი, რომელიც ბიბლიოთეკაში ინახება მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა და მისით სარგებლობა მკითხველს შეუძლია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

3.3. ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები), ლექსიკონები, ენციკლოპედიები;

3.4. მკითხველი ვალდებულია გატანილი ბეჭდური რესურსი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში, გაცემის და დაბრუნების თარიღის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულია ელექტრონულ ბაზაში;

3.5. მკითხველს შეუძლია გადადოს გატანილი წიგნის დაბრუნების ვადა, როგორც პირადი განაცხადით, ასევე ელ.ფოსტის საშუალებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ წიგნზე არ არის მოთხოვნა.

3.6. მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკიდან ერთდროულად გაიტანოს 5 ბეჭდური რესურსი;

3.7. თუ მკითხველი საპატიო მიზეზის გამო ვერ აბრუნებს გატანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას, წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად;

3.8. იმ შემთხვევაში თუ მკითხველმა დაარღვია საბიბლიოთეკო რესურსის დაბრუნების ვადა, ის ვეღარ შეძლებს მასალის ბიბლიოთეკის ფარგლებს გარეთ გატანას, ამგვარი შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული და წინასწარ ცნობილი მკითხველისათვის;

3.9. ბიბლიოთეკიდან გატანილი რესურსის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია აუნაზღაუროს კოლეჯს მასალის საბაზრო ღირებულება ან ჩაანაცვლოს იმავე დასახელების წიგნით;

3.10. დიპლომის ასაღებად სტუდენტი სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარადგენს ბიბლიოთეკის მიერ მის სახელზე გაცემულ ცნობას, რომელიც ადასტურებს, რომ მას არ აქვს ბიბლიოთეკის დავალიანება, ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე სტუდენტზე დიპლომი არ გაიცემა.

4. მკითხველის ვალდებულებები

4.1. მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლის, ასევე ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებელთა უფლებებს;

4.2. გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას;

4.3. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე;

4.4. დაიცვას სიჩუმე;

4.5. ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;

4.6. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დააბრუნოს ისინი თაროზე, არამედ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს ან დატოვოს მაგიდაზე;

4.7. წიგნის ან სხვა მასალის მიღებისას დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ამის შესახებ ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

4.8. ბიბლიოთეკის კომპიუტერით მოსარგებლე მკითხველმა, გამოყენების შემდეგ, კომპიუტერი ჩართული უნდა დატოვოს;

4.9. მკითხველს არ აქვს ბიბლიოთეკის კომპიუტერში პროგრამული ფაილის ჩაწერის ან წაშლის უფლება;

4.10. დაუშვებელია ბიბლიოთეკის კომპიუტერის გამოყენება არადანიშნულებისამებრ (კომპიუტერული თამაშები, გასართობი ვებ-გვერდები და სხვ.);

4.11. კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში, მკითხველმა უნდა მიმართოს ბიბლიოთეკარს და თვითნებურად არ ეცადოს ხარვეზის გამოსწორებას;

4.12. მკითხველი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; მკითხველი, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, აანაზღაურებს ზარალს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით დადგენილი ნორმის შესაბამისად.

5. ბიბლიოთეკაში დაუშვებელი ქცევა

5.1. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია ხმაური;

5.2. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვების შეტანა, გარდა ბოთლში ჩამოსხმული არამინერალური ან მინერალური წყლისა;

5.3. დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან საბიბლიოთეკო რესურსის თვითნებური გატანა.

6. გაფრთხილება და სანქცირება

6.1. მკითხველი ბიბლიოთეკარისგან გაფრთხილებას იღებს წიგნის დაბრუნების ვადის ან ბიბლიოთეკაში ქცევის წესების უხეში დარღვევის გამო;

6.2. მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზში სიჩუმის დარღვევისას მკითხველი ბიბლიოთეკარისგან იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას, მსგავსი დარღვევის ორჯერ განმეორების შემთხვევაში ტოვებს სამკითხველო დარბაზს;

6.3. მკითხველის მიერ საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანის შემთხვევაში მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

7. ბიბლიოთეკის სამუშაო დრო.

7.1. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სამუშაო დღეებში, დილის 10:00-დან – 18:00-მდე.